

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N003/16¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ნანა ხეჩიკაშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია მიღებული აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობას სთხოვს ამავე ადვოკატს ის მოქალაქე, რომელმაც იცის ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ. შესაძლებელია თუ არა ადვოკატმა გაუწიოს მომსახურება ამ მოქალაქეს?

ანალიზი

კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში, რადგან მას საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში ტესტირების გავლის შემდეგ. ეს მოცემულობა კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ეს თავის მხრივ კლიენტის კვალიფიციური წარმომადგენლობის ერთგვარ გარანტიად გვევლინება და თუ თუ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი განახორციელებს მოქალაქის წარმომადგენლობას სამოქალაქო საქმეზე და იმოქმედებს როგორც ადვოკატი, კლიენტთან ურთიერთობის დაწყებისთანავე დაარღვევს კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მიაწვდის ინფორმაციას, რომ ის არის სისხლის სამართლის სპეციალისტი და კლიენტი აიღებს რისკს საკუთარ თავზე, რომ ამ ადვოკატმა წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს პირველ ინსტანციაში ან სხვა ორგანოში, სადაც აუცილებელი არ არის კონკრეტულად ადვოკატის სტატუსით წარმომადგენლის ჩართულობა, ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ადვოკატი არ დაარღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

დასკვნა

თუ ადვოკატს მინიჭებული აქვს ლიცენზია სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და კლიენტებს წარმოადგენს სამოქალაქო საქმეზე, როგორც ადვოკატი, სავარაუდოდ, იგი დაარღვევს იურიდიული ეთიკის კლინიკის მიერ განსაზღვრულ ნორმებს. მაგრამ თუ ადვოკატი მიაწვდის ინფორმაციას პოტენციურ კლიენტს იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის სამართლის სპეციალისტი, რაც მან აუცილებლად უნდა განუმარტოს, მაშინ კლიენტს შეუძლია საკუთარ თავზე რისკი და ადვოკატი ისარგებლებს წარმომადგენლობის უფლებამოსილებით სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს პირველ ინსტანციაში ან სხვა ორგანოში, სადაც აუცილებელი არ არის კონკრეტულად ადვოკატის სტატუსით წარმომადგენლის ჩართულობა. ეს განმარტება სასურველია იყოს წერილობითი.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91e2f28946d.pdf/10%20February%202016%20003.16.pdf>